



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა  
(დედამიწის მეგობრები – საქართველო)

# გარემო და საზოგადოება

ენერგეტიკა  
გურიის მხარეში მიმდინარე განახლებადი  
საინვესტიციო პროექტები




## შინაარსი

გურიის მხარე.....	3
გურიის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები .....	7
(29 დეკემბერი 2017 წელი).....	7
მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე.....	7
კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით.....	8
გამოქვეყნებული მემორანდუმები .....	9
გურიაში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები).....	10
გამოქვეყნებული პროექტები .....	10

## გურიის მხარე



გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2024372?publication=0>



გურია დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. ჩრდილოეთით მისი ტერიტორიის ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა გადაჭიმული, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მესხეთის ქედის ჩრდილოეთის ფერდობებზეა შეფენილი. გურიას ჩრდილოეთით სამეგრელო ესაზღვრება, აღმოსავლეთით – იმერეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთით – აჭარა, დასავლეთით – შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით კი – პალიასტომის ტბა და კოლხეთის ეროვნული ნაკრძალი.

ტყის რესურსები. რეგიონი მდიდარია ტყის რესურსებით. ტყის შემქმნელი ფოთლოვნებიდან გავრცელებულია წიფელი, რცხილა, აკაცია, წაბლი, მურყანი, ვერხვი. წიწვოვნებიდან ჭარბობს ნაძვი, სოჭი და ფიჭვი. ქვეტყე და ბუჩქნარი

ძირითადად, წარმოდგენილია წყავით, შქერით და იელით. გურიის მთის ტყის ზოლში ვხვდებით წიფლის ტყეებს, უფრო ზევით კი - ნაძვსა და სოჭს. სუბალპური ტყეების ზოლში პონტური მუხა იზრდება.

გურიაში ტყეს ტერიტორიის **48%** უკავია. ტყის ფონდის ფართობი 86,4 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 81,2 ათასი ჰა არის დაფარული. რეგიონში ოპერირებს 21 ლიცენზირებული სახერხი. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არის განხორციელებული ტყის რესურსების ინვენტარიზაცია.

გურიაში მოიპოვება **მინერალური წყლები** - ნაბელლავი და გულიანი. აქ რამდენიმე კურორტია: ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი, ბახმარო და ნაბელლავი.

**წყლის რესურსები და ენერგეტიკული პოტენციალი.** რეგიონი მდიდარია **წყლის რესურსებით** - მდინარეებით, ტბებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით, მინერალური წყლებით და თერმული წყლის რესურსით.

გურიაში სულ 25 საშუალო და მცირე ზომის მთის მდინარე ჩამოედინება, რომელთა საერთო სიგრძე 598 კმ-ს შეადგენს, რეგიონში არის 3 ტბა (საერთო ფართობი რეგიონში - 3,5 კმ<sup>2</sup>) და 3 წყალსაცავი (საერთო ფართობი - 4,4 კმ<sup>2</sup>). რეგიონში მოპოვებული წყლის რესურსების (მიწისქვეშა და ზედაპირული წყალი) 96% გამოიყენება ჰიდროენერგეტიკაში, 2% სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო დანარჩენი - სამრეწველო დანიშნულებით, სარწყავად და რეკრეაციული დანიშნულებით. გამოუყენებელია თერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალი.

გურიის წყალუხვი მდინარეებიდან აღსანიშნავია სუფსა, ნატანები და მისი შენაკადები, ფიჩორი, გომახურისწყალი, ლესისწყალი, წყალწითელა და სხვა. ტბებიდან კი გამოირჩევა გრიგოლეთი და იმნათი.

გურიის ტერიტორიაზე ორი მოქმედი ჰესია - ბჟუჟჰესი (მდინარე ბჟუჟზე) და აჭჰესი (მდინარე აჭზე), რომელთა საერთო სიმძლავრე **12,8 მგვტ**-ს შეადგენს.

რეგიონში არსებობს **ალტერნატიული ენერგორესურსები**. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ქარების მიმართულება, სიჩქარე და ხანგრძლივობა ქმნის გაბატონებული ქარის რესურსის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. ქარის ტურბინას შეუძლია წელიწადში, საშუალოდ, 127 დღე-ღამის განმავლობაში იმუშაოს.

მზის ენერჯის რესურსი, ცხელი წყლით მომარაგების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მცირე ზომის სასტუმროებში, საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობებში. რეგიონში არის ბიოგაზის, ბიომასის (თხილის და სახერხების ნარჩენები) და თერმული წყლის რესურსების ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა.

**წიაღისეული.** რეგიონში მოიპოვება სხვადასხვა სახის წიაღისეული. **ბენტონიტური თიხა, ტორფი, აპატიტი, წითელი რკინის მადანი.** აქვეა სპილენძის ბუდობები, მცირე ოდენობით ტყვია, ვერცხლი და თუთია, კაოლინის საბადო, **სიენიტების** საბადო (სიენიტი მაგმური ქანია, რომელიც გრანიტს წააგავს და საუკეთესო საშენი მასალაა), **ოქრას** საბადო (ოქრა გამოიყენება მინერალური საღებავების დასამზადებლად), **ტუფის** და **გრანიტის** მოსაპირკეთებელი მასალა, **კირქვის** საბადო, **სააგურე** თიხის რამდენიმე საბადო (საბადოს თიხა ყავისფერი, მოცისფრო-რუხი და რუხი-მოლურჯო ფერისაა), **ფილიფსიტშემცველი ქანების** საბადო, **ქვიშა-ხრეშის** საბადოები, **ნედლი ნავთობის** საბადო. არსებობს ასევე **ოქროს** წიაღისეული, რომლის მარაგი შეფასებული არ არის. წიაღისეული რესურსები არ არის დათვლილი და ამდენად, უცნობია ადგილობრივ ეკონომიკაზე მათი შემდგომი ზემოქმედების პოტენციალი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონი მეწყრული პროცესების გავრცელების და საშიშროების რისკის მიხედვით მიეკუთვნება მაღალი საშიშროების რისკის კატეგორიას და რესურსების მოპოვების დაგეგმვისას, აუცილებელია შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სათანადო ხარისხით ჩატარება.

წყარო <http://guria.gov.ge/geo/static/200>

## გურიის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები (29 დეკემბერი 2017 წელი)

### მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე

პროექტი	კომპანია	საგარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	საგარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მვტ)	საგარაუდო წლიური გამოშვება (გვტსთ.)	მემორანდუმის წელმოწერის თარიღი	ტექნიკური ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
1	ნატანები ჰესი 3	შპს საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია	16,690,000	გურია	ნატანები	8.40	59.00	14.07.2015	14.04.2016	14.04.2018	14.04.2018	14.01.2020	14.01.2020
2	ბარამიძე ჰესი	სს სუფსა ენერჯი	15,894,262	გურია	ბარამიძის წყალი	8.40	41.87	07.10.2016	-	07.04.2018	07.04.2018	31.01.2020	31.01.2020
3	საშულა ჰესი 1	შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია	10,177,891	გურია	საშულა	7.30	37.90	29.12.2016	-	29.12.2017	29.12.2017	29.12.2020	29.12.2020
4	საშულა ჰესი 2	შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია	8,783,659	გურია	საშულა	6.30	32.70	29.12.2016	-	29.12.2017	29.12.2017	29.12.2020	29.12.2020

## კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე (მვტ)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ნელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
5	ზოტი ჰესების კასკადი	სს საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია	104,125,550	გურია	გუბაზეული	44.31	168.58	25.12.2015	25.06.2017	18.11.2018	18.11.2018	31.12.2020	31.12.2020
6	ბახვი ჰესი 2	შპს ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ	30,000,000	გურია	ბახვისწყალი	20.00	110.00	21.10.2016	21.04.2017	21.03.2018	21.03.2018	21.03.2021	21.03.2021



## გამოქვეყნებული მემორანდუმები

### ნატანები ჰესი 3

- [ცვლილება 05.08.2016](#)

### ბარამიძე ჰესი

### საშუალა ჰესი 1, 2

- [ცვლილება 05.08.2016](#)
- [ურთიერთგაგების მემორანდუმი 29.12.2016](#)
- [შეთანხმება 29.12.2016](#)

### ზოტი ჰესების კასკადი

### ბახვი ჰესი 2

- [შეთანხმება 29.12.2016](#)

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

## გურიაში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები)

№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	საშუალო წლიური გამოიმუშავება (მლნ. კვტ.სთ.)	რეგულირების სახეობა
1	ბარამიძე 2 ჰესი	ბარამიძისწყალი	გურია	5.00	23.90	მოდინებაზე
2	ბახვი ჰესი 1	ბახვისწყალი	გურია	15.00	78.24	წყალსაცავი
3	ბახვი ჰესი 4	ბახვისწყალი	გურია	1.00	5.60	მოდინებაზე
4	ბახვი ჰესი 5	ბახვისწყალი	გურია	2.00	9.34	მოდინებაზე
5	ბჟუჟა ჰესი	ბჟუჟა	გურია	5.30	24.10	მოდინებაზე
6	გუბაზეული ჰესი 6	გუბაზეული	გურია	3.00	20.00	მოდინებაზე
7	ნატანები ჰესი 1	ნატანები	გურია	6.20	43.00	მოდინებაზე
8	ნატანები ჰესი 2	ნატანები	გურია	9.45	41.00	მოდინებაზე
9	სურები ჰესი 2	სუფსა	გურია	8.60	47.10	მოდინებაზე
10	ყვირალა ჰესი	ყვირალისწყალი	გურია	8.00	34.70	მოდინებაზე

## გამოქვეყნებული პროექტები

[ბახვი 4 ჰესი](#)[ბახვი 1 ჰესი](#)[ბახვი 5 ჰესი](#)[ყვირალა ჰესი](#)

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.



გამოცემაზე მუშაობდნენ: მარიკა ფიროსმანაშვილი, თათული კვარაცხელია

---

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო  
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: [info@greens.ge](mailto:info@greens.ge)  
ვებ-გვერდი: [www.greens.ge](http://www.greens.ge)